



## ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 11

26/03/2019

### საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტები წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. № 62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

N	დასახლების სახელწოდება	პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა (ლარი)	განსახორციელებელი პროექტი	სავარაუდო ღირებულება (ლარი)
1	თისელი	10000	გარე განათების გაგრძელება	12000
2	ტყემლანა	12000	საზოგადოებრივი საპირფარეოს აშენება, სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია და სასაფლაოზე სამეურნეო დანიშნულების შენობის აშენება	20000
3	აწყური	20000	სასაფლაოსკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია და სასაფლაოს შემოღობვა	40000
4	გურკელი	10000	გარე განათების მოწყობა	10000
5	წინუბანი	12000	გარე განათების მოწყობა	12000
6	აგარა	12000	სასმელი წყლის რეზერვუარისა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია	12000
7	საყუნეთი	16000	ცენტრალურ ქუჩაზე მიღბიდის მოწყობა და გარე განათების გაგრძელება	25000
8	ზიკილია	16000	სანიაღვრე არხის მოწყობა	25000
9	გიორგიწმინდა	12000	სასაფლაოს გზის მოხრეშვა, ღობის რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი საპირფარეოსა და სამეურნეო დანიშნულების შენობის აშენება	15000
10	ფერსა	12000	სასაფლაოს გზის მოხრეშვა, ღობის რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი საპირფარეოსა და სამეურნეო დანიშნულების შენობის აშენება	15000
11	მუგარეთი	12000	სოფლის სახლის რეაბილიტაცია	24000
12	კლდე	16000	სამი მოსადელოს მოწყობა	16000
13	წნისი	16000	მტკვარზე გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია	30000
14	ტატანისი	10000	სარწყავი არხის რეაბილიტაცია	12000
15	სვირი	16000	სასაფლაოს შემოღობვა და სამეურნეო დანიშნულების შენობის აშენება	16000
16	ბოგა	10000	სოფლის ცენტრიდან სოფლის გასასვლელში არსებული ღელესკენ სანიაღვრე არხის მოწყობა	15000
17	ღრელი	12000	სარწყავი არხის რეაბილიტაცია	20000
18	ჭაჭარაქი	12000	სარწყავი და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	20000
19	მინაძე	16000	სარწყავი და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	20000
20	ხეთი	12000	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია	15000
21	მუსხი	16000	სოფლის სამფრებზე პირუტყვის დასარწყვლებელი ადგილების რეაბილიტაცია	16000
22	ურაველი	16000	შიდა გზების რეაბილიტაცია და საზოგადოებრივი საპირფარეოს აშენება	20000
23	წყორძა	10000	სარწყავი სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია	15000
24	ანდრიაწმინდა	12000	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და წყლის გამანაწილებლის მოწყობა უჩანგავი ლითონით	15000
25	ანდა	10000	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და წყლის გამანაწილებლის მოწყობა უჩანგავი ლითონით	12000
26	წირა	16000	სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია	32000
27	მიქელწმინდა	10000	სოფლის შიდა გზებისა და სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია	20000
28	წყრუთი	20000	საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის ეზოს კეთილმოწყობა და სასაფლაოს შემოღობვა	25000
29	ანი	12000	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	15000
30	ჭვინთა	12000	არსებული წისქვილის რეაბილიტაცია	15000
31	ელიაწმინდა	10000	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	15000

32	ივლიტა	12000	საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის, სკვერისა და საზოგადოებრივი საპირფარეოს მშენებლობა, რეაბილიტაცია	20000
33	ზემო სხვილისი	12000	ზუნებრივი და ხელოვნური სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია	12000
34	სხვილისი	20000	სარწყავი სისტემისა და სკვერის რეაბილიტაცია, გარე განათების გაგრძელება	30000
35	ვალე	20000	სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია	30000
36	წინუბანი	12000	შიდა გზების რეაბილიტაცია	15000
37	აბათხევი	10000	გარე განათების გაგრძელება	10000
38	ჯულდა	10000	არსებული ხიდის რეაბილიტაცია	15000
39	წყალთბილა	16000	შიდა გზების რეაბილიტაცია	25000
40	ნაოხრები	16000	სკვერის მოწყობა	16000
41	დიდი პამაჯი	16000	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	20000
42	პატარა პამაჯი	16000	არსებული სკვერის რეაბილიტაცია და თავშეყრის ადგილის მოწყობა	20000
43	ორალი	12000	სანიაღვრე არხის მოწყობა	15000
44	ყულალისი	10000	შიდა გზების რეაბილიტაცია	20000
45	საძელი	12000	სასმელი წყლის სისტემისა და შიდა გზების რეაბილიტაცია	15000
46	ხაკი	10000	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა	15000

საკრებულოს თავმჯდომარე -

გელა ნოზაძე